

**აზიის განვითარების ბანკის საქართველოს  
წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს  
ბატონ მედგარ ჭელიძეს**

აზიის განვითარების ბანკის  
საქართველოს წარმომადგენლობის უფროსს  
ბატონ გიორგი კიზირიას

თბილისში, კრილოვის 10 მცხოვრები  
(ტელ: 597 14 31 31)  
ელდარ ქათამაძის

**ს ა ჩ ი ვ ა რ ი**

მოგახსენებთ, რომ 2012 წლის 1 ივნისიდან თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზატკეცილის მე-20 კილომეტრზე (0.2 კმ-ზე მარცხნივ) მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე „გალფში“ დავიწყე მუშაობა. აღნიშნულ ბენზინგასამართ სადგურზე ვმუშაობდი 2012 წლის აგვისტოს დასარულამდე.

როგორც აღმოჩნდა, ბენზინგასამართი სადგური მოექცა თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-ფონიჭალა და ფონიჭალა-რუსთავის მონაკვეთის პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო, 2012 წ. აგვისტოს დასასრულს ბენზინგასამართმა სადგურმა შეწყვიტა ოპერირება და შესაბამისად, ამ დროიდან შეუძლებელი იქნა აღნიშნულ ბენზინგასამართზე მუშაობა.

ჩემთვის ცნობილია, რომ პროექტის „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP-III): მონაკვეთი 3 (კმ 10.5 – 17.1) ფონიჭალა-რუსთავი“ თანახმად, კომპენსაციის მიღებისთვის უფლებამოსილი არიან პირები, რომელებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასს. ასევე, ამავე გეგმის თანახმად, სამსახურის კარგვის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურება მოხდება სამი თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით რაც საერთო ჯამში შეადგენს 939 ლარს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის თბილისი-ფონიჭალა და ფონიჭალა-რუსთავის მონაკვეთის პროექტით ჩემთვის მოყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი და გადამიხადოთ შესაბამისი კომპენსაცია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის და აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

ელდარ ქათამაძე  
2012 წ. 29 ოქტომბერი